სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/79 13.09 2022

უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში მობილობით გადმოსული და აღდგენის წესით ჩარიცხული სტუდენტებისათვის დამატებით (minor) პროგრამებზე რეგისტრაციის წარმართვისა და ასათვისებელი ადგილების დამტკიცების შესახებ, ვბრძანებ:

1. დამატებით (minor) პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა რეგისტრაცია ჩატარდეს ელექტრონულად „დამატებით (minor) პროგრამებზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა განაწილების, მოდულისა და არჩევითი საგნის არჩევის წესის შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 8 (17/18) დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.
2. დამტკიცდეს უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში მობილობით გადმოსული და აღდგენის წესით ჩარიცხული სტუდენტებისათვის დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა ასათვისებელი ადგილების ოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, გასული წლის მოთხოვნილი ადგილებისა და ფაქტობრივად ჩარიცხული სტუდენტების ოდენობების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით:

ფაკულტეტი, დამატებით (minor) პროგრამა	ადგილების რაოდენობა
აგრარული	61
აგროეკოლოგია	17
აგროლოჯისტიკური სისტემები	3
აგროტექნოლოგია	17
საბაღო-საპარკო მეურნეობა	17
სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზა	7
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა	108
აგრობიზნესის მენეჯმენტი	8
ბიზნესის ადმინისტრირება	51
ეკონომიკა	23
საჯარო მმართველობა	26
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	82
ბიოლოგია	14
გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)	13
ეკოლოგია	16
კომპიუტერული მეცნიერებები	14
მათემატიკა	10
ქიმია	15

საინჟინრო-ტექნოლოგიური	10
გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია	3
საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა	1
ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები	6
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	179
აღმოსავლური ენა და ლიტერატურა	22
გერმანული ენა და ლიტერატურა	34
ინგლისური ენა და ლიტერატურა	41
ისტორია	18
რუსული ენა და ლიტერატურა	34
ფილოსოფია	1
ფრანგული ენა და ლიტერატურა	21
ქართული ენა და ლიტერატურა	8
სულ	440

3. სტუდენტთა მიერ დამატებით (minor) პროგრამის არჩევა მოხდეს საკუთარი სურვილის გამოხატვის, თავისუფლების, გამჭირვალობის და კონკურენციის პრინციპის დაცვით, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი ვაკანტური ადგილების მიხედვით. აღნიშნული მუხლის მოთხოვნების დამრღვევთა მიმართ გატარდეს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ზომები.

4. სტუდენტთა (on-line) რეჟიმში რეგისტრაცია იწარმოებს ელექტრონული დეკანატის გამოყენებით (edean.atsu.edu.ge). რეგისტრაციის მიზნით სტუდენტმა უნდა გააქტიუროს საკუთარი ანგარიში და გამოიყენოს მენიუს პუნქტი "გეგმები".

5. უნივერსიტეტის სტუდენტთა (on-line) რეგისტრაციის ტექნიკური უზრუნველყოფა დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს (ო. შენგელიას, ქ. ჭელიძეს);

6. შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციამ მიაწოდონ ინფორმაცია დამატებითი (minor) პროგრამაზე სარეგისტრაციოდ იმ სტუდენტებს, რომლებთაც აქვთ დამატებითი (minor) პროგრამაზე არჩევის უფლება.

7. დამტკიცდეს ფაკულტეტების მიხედვით, ჩამონათვალი, ძირითადი საბაკალავრო პროგრამის რომელი (minor) პროგრამის არჩევის უფლება არ აქვთ სტუდენტებს:

ფაკულტეტები	ძირითადი საბაკალავრო პროგრამა	minor პროგრამა, რომლის არჩევის უფლებაც არ აქვთ სტუდენტებს			
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება	აგრობიზნესის მენეჯმენტი	ეკონომიკა	
	ეკონომიკა	ეკონომიკა			
	საერთაშორისო ურთიერთობები	საერთაშორისო ურთიერთობები			
	ჟურნალისტიკა	ჟურნალისტიკა			
	საჯარო მმართველობა	საჯარო მმართველობა	ბიზნესის ადმინისტრირება	ეკონომიკა	
აგრარული	აგრონომია (მოდული-აგროეკოლოგია)	აგროეკოლოგია	აგროტექნოლოგია	ეკოლოგია	
	აგრონომია (მოდული-აგროტექნოლოგია)	აგროტექნოლოგია	აგროეკოლოგია	ეკოლოგია	

	აგრონომია (მოდული-მცენარეთა დაცვა)	აგროტექნოლოგია	აგროეკოლოგია	ეკოლოგია	
	აგრონომია(მოდული-საბაღო-საპარკო მეურნეობა)	აგროტექნოლოგია	აგროეკოლოგია	ეკოლოგია	საბაღო-საპარკო მეურნეობა
	სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზა	სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზა	საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა		
	ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში	აგროლჯისტიკური სისტემები	აგროინჟინერია	აგრობიზნესის მენეჯმენტი	
	ტურიზმი	ტურიზმი	გეოგრაფია	ბიზნესის ადმინისტრირება	
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	ბიოლოგია	ბიოლოგია	ეკოლოგია	გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)	
	გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)	გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)	ბიოლოგია	ეკოლოგია	
	გეოგრაფია	გეოგრაფია			
	ეკოლოგია	ეკოლოგია	ბიოლოგია	გამოყენებითი ბიომეცნიერებები(ბიოტექნოლოგია)	
	კომპიუტერული მეცნიერებები	კომპიუტერული მეცნიერებები			
	მათემატიკა	მათემატიკა			
	ქიმია	ქიმია			
საინჟინრო-ტექნოლოგიური	გამოყენებითი დიზაინი (მოდული - ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი)	ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი)			
	გამოყენებითი დიზაინი (მოდული - მოდის დიზაინი)	მოდის დიზაინი			
	გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია	გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია			
	მოდის დიზაინი და ტექნოლოგია	ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგიები			
	საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა	საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა			

	ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები	ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები			
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	აღმოსავლური ფილოლოგია (მოდული- არაბული ენა და ლიტერატურა)	არაბული ენა და ლიტერატურა	სპარსული ენა და ლიტერატურა	თურქული ენა და ლიტერატურა	
	აღმოსავლური ფილოლოგია (მოდული- სპარსული ენა და ლიტერატურა)	სპარსული ენა და ლიტერატურა	თურქული ენა და ლიტერატურა	არაბული ენა და ლიტერატურა	
	აღმოსავლური ფილოლოგია (მოდული- თურქული ენა და ლიტერატურა)	თურქული ენა და ლიტერატურა	სპარსული ენა და ლიტერატურა	არაბული ენა და ლიტერატურა	
	არქეოლოგია	არქეოლოგია			
	გერმანული ენა და ლიტერატურა	გერმანული ენა და ლიტერატურა			
	ინგლისური ენა და ლიტერატურა	ინგლისური ენა და ლიტერატურა			
	ისტორია	ისტორია			
	რუსული ენა და ლიტერატურა	რუსული ენა და ლიტერატურა			
	ფილოსოფია	ფილოსოფია			
	ფრანგული ენა და ლიტერატურა	ფრანგული ენა და ლიტერატურა			
	ქართული ენა და ლიტერატურა	ქართული ენა და ლიტერატურა			

8. სტუდენტების რეგისტრაცია დამატებით (minor) პროგრამებზე განხორციელდეს:

ა) 2022 წლის 15 სექტემბრიდან 2022 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება № 8 (17/18) „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთათვის დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი წესის დამტკიცების შესახებ“, მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ) ზამთრისა და ზაფხულის მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის - უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში;

გ) იმ სტუდენტებისათვის, ვინც სხვადასხვა ობიექტურ გარემოებათა გამო (სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში), ვერ გაიარა რეგისტრაცია სასწავლო წლის სალექციო პერიოდის დასრულებამდე - რეგისტრაცია განხორციელდეს ამ მუხლის „ ბ“ ქვეპუქტით გათვალისწინებულ ვადებში;

დ) დამატებითი (minor) პროგრამის შეცვლა განხორციელდეს ამ მუხლის „ბ“ პუნქტით დადგენილ ვადებში.

ე) რეგისტრაციის გავლის უფლება მიეცეს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს, რომელიც დამატებით (minor) პროგრამასთან დაკავშირებულ არჩევას აკეთებს პირველად;

ვ) სტუდენტის რამოდენიმეჯერ დარეგისტრირების შემთხვევაში, დარეგისტრირებულად ჩაითვალოს მის მიერ გაკეთებული ბოლო განაცხადი;

ზ) განსაკუთრებულ შემთხვევაში, სტუდენტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის საკითხები, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, დამატებით განხილული იქნას რექტორატის საბჭოს

სხდომაზე, რომლის გადაწყვეტილების მიხედვით გამოიცემა რექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-ნორმატიული აქტი.

თ) სტუდენტს აქვს უფლება გააკეთოს განაცხადი 5 დამატებითი (minor) პროგრამაზე (მ.შ. 3 არჩევანის გაკეთება სავალდებულოა) და დაალაგოს ისინი საკუთარ განაცხადში პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

9. სტუდენტის ჩარიცხვა დამატებითი (minor) პროგრამაზე ხდება მისი სურვილისა და ეროვნულ გამოცდებზე მიღებული საკონკურსო ქულების მიხედვით. კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭოს იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული აქვს უფრო მაღალი საკონკურსო ქულა.

10. ერთიდაიგივე საკონკურსო ქულის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნეს პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის აკადემიური მოსწრების მონაცემები.

11. ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული სტუდენტების დამატებითი (minor) პროგრამაზე რეგისტრაცია და ჩარიცხვა მოხდეს რეგისტრაციის გავლის საფუძველზე, სტუდენტის სურვილის გათვალისწინებით, კონკურსგარეშე.

12. სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციის შედეგების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, აწსუ სასწავლო პროცესის მართვის სამსახური (**მ. ნიჟარაძე, ე. უკლება, ვ. ნაცვლიშვილი, ლ. ჭელიძე, თ. ლეშკაშელი**) და ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური (**ო. შენგელია, ქ. ჭელიძე**) უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას, ამ ბრძანების მე-2, მე-6, მე-7, მე - 8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების მოთხოვნებისა და ცალკეულ პროგრამაზე არსებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი (**პროფ. ი. ბასილაძე**), კონკურსის დასრულებისთანავე წარადგენს რექტორატში შესაბამისი ბრძანების პროექტს.

13. დამატებით (minor) პროგრამაზე განაწილება მოხდეს მხოლოდ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური პროგრამების სასწავლო გეგმების მიხედვით.

14. დამატებითი (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების დროს გათვალისწინებული იქნეს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი აკადემიური ჯგუფის ფორმირების ნორმები და ნორმატივები.

15. სტუდენტთა დამატებითი (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის ბრძანების გამოსვლიდან, არაუგვიანეს ერთი კვირისა, დასაშვებია ამ ბრძანებაში ცვლილებების შეტანა სტუდენტის მხრიდან თავისი განაცხადის გადაფასების შემთხვევაში, თუკი ეს არ გამოიწვევს წინამდებარე ბრძანების მე-9, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლით გათვალისწინებული ნორმების უხეშ დარღვევას.

16. კანცელარიის უფროსმა (**ე. ცირეკიძე**) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (**ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი**) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერისტეტის ვებ-გვერდზე, ძირითადი მენიუს პუნქტში „სწავლა“, ქვემენიუ: სასწავლო პროცესი.

17. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ, ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

საფუძველი: უმაღლესი განათლების სესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ქვეპუნქტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 53-ე მუხლის მე-2 „კ“ პუნქტი დამატებით (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის უფლების შესახებ და აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №8 (17/18) დადგენილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა განაწილების, მოდულისა
და არჩევითი საგნის არჩევის წესის დამტკიცების შესახებ.

უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: პროფ. იმერი ბასილაძე

მთავარი სპეციალისტი: ვიოლეტა ნაცვლიშვილი